საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990155445935924

№05/813 **01 / მარტი / 2024 წ.**

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში განხილულ იქნა თქვენი 2024 წლის 27 თებერვლის N6/11117 კორესპონდენცია, რომელიც ეხება ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მოწამეთაში მდებარე 6095 კვ.მ. დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების საკითხს და მოთხოვნილია სააგენტოს პოზიციის დაფიქსირება აღნიშნულთან დაკავშირებით.

განსაკარგავი მიწის ნაკვეთი მოქცეულია „გელათის მონასტრის ვიზუალური დაცვის არეალის გაფართოების შესახებ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 09 იანვრის N03/5 ბრძანების დანართით განსაზღვრული, მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტების ნუსხაში შეტანილი გელათის მონასტრის ვიზუალური დაცვის არეალში (იხ. დანართი), რომელიც „იუნესკოს“ „მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის“ 2017 წლის N41 COM 8B.31 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ იქნა გელათის მონასტრის ბუფერულ ზონად.

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალი არის ტერიტორია ფიზიკური დაცვის არეალს მიღმა, რომლის ცვლილებაც გავლენას ახდენს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოზე ან/და ძეგლის სრულფასოვან აღქმაზე. ვიზუალური დაცვის არეალში აკრძალულია იმგვარი მოქმედებები, რომლებიც დააზიანებს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს, ხელს შეუშლის ძეგლის ოპტიმალურ ხედვას, მის სრულფასოვან აღქმას ან შეამცირებს მის მნიშვნელობას.

ამავე კანონის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში სამშენებლო და სარეკონსტრუქციო პროექტებზე მშენებლობის ნებართვას გასცემს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანო, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს (დელეგირებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში - სააგენტოს) თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დამატებით გაცნობებთ, რომ „მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის აღსრულების ოპერაციული სახელმძღვანელოს“ 172-ე პარაგრაფის შესაბამისად, კონვენციით დაცულ ტერიტორიაზე დაგეგმილი განვითარების პროექტების (მნიშვნელოვანი ცვლილება არსებულ გარემოში ან/და ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა/განთავსება) ეროვნულ დონეზე განხილვის შემდეგ, პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოების მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, საკითხი განსახილველად წარედგინება მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს (ცენტრის მრჩეველ ორგანოს - „იკომოსს“) - საბოლოო შეფასების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების მისაღებად.

ამდენად, გაცნობებთ, რომ განსაკარგავი უძრავი ქონების მესაკუთრემ უნდა დაიცვას ზემოთ დასახელებული და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა რეგულაციები, ხოლო აღნიშნული უძრავი ქონების შემდგომი განვითარება დამოკიდებული იქნება მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი სამუშაოების შინაარსზე, პროექტის თავსებადობაზე მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტის ბუფერულ ზონაში არსებულ გარემოსთან / ლანდშაფტთან და საკითხთან დაკავშირებით „მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის“ ოფიციალური მრჩეველი ორგანოს („იკომოსი“) საბოლოო შეფასებაზე.

დანართი: 1 (ერთი) ფაილი.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის (სამსახური) უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თეონა გაბოძე